

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

07 01

პროგრამის დასახელება:

ქალაქის ურბანული განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა	2 500 000	500 000	2 000 000		
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	10 000	10 000			
სულ პროგრამა	2 510 000	510 000	2 000 000	0	0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი	
	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად	შექნია ქალაქის სივციითი განვითარების კონცეფცია	-	-	1			რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქალაქის დაგეგმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

07 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	500 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანება და რაციონალური გამოყენება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 3 ივნისს ძალაში შევიდა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წელს დამტკიცებული „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 1 (შემდეგში - კოდექსი), რომელთანაც ერთად ამოქმედდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილებები: „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ (N260, 03.06.2019. შემდეგში - გეგმების შემუშავების წესი) და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ (N261, 03.06.2019, შემდეგში - ძირითადი დებულებები), რითაც შეიცვალა სივრცის მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების მანამდე არსებული წესები. ასევე კოდექსში, მის ამოქმედებამდე განხორციელდა ცვლილებები გარდამავალ დებულებებში, რომლითაც განისაზღვრა 6-თვიანი 2 გარდამავალი პერიოდი იმ ტერიტორიებისთვის, რომლებზედაც ვრცელდება 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები (შემდეგში - მგგ/გენგეგმა).

გამომდინარე ზემოთთქმულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდეგში - ბათუმის მერია) მიერ ინიცირებულია ქ. ბათუმის მოქმედი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის განახლება კოდექსის შესაბამისად და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების გეგმის შემუშავება. 3 ეს იქნება მრავალდარგობრივი განვითარების და ინტეგრირებული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც საბოლოოდ პასუხს გასცემს კითხვებს: როგორ ბათუმს ვხედავთ მომავალში და როგორ უნდა მივაღწიოთ მას? როგორც ქვეყნის, ისე რიგითი ბათუმელების კონტექსტში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბათუმის მერიის დაკვეთით მომზადებულია კომპლექსური საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლის ფარგლებში უნდა წარიმართოს სახელმწიფო შესყიდვა და საბოლოოდ მიღებულ იქნას კოდექსის შესაბამისი დოკუმენტაცია ქალაქისთვის. საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზანია დაგეგმვის ზემოაღნიშნული ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ქ. ბათუმის სივრცითი განვითარების საერთო და შეჯერებული ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებისთვის შესაბამისი საბაზისო მონაცემებისა და დარგობრივი კვლევების განხორციელება, რათა მიღებულ იქნას საბოლოო შედეგი — ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტები: 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა (სდგ); 2) ქ. ბათუმის გენერალური გეგმა (გენგეგმა); 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა (დსს).

შესყიდვის მეორე ეტაპზე შემუშავებული გეგმარებითი დავალებებისა და დამატებით განსაზღვრული კვლევების საფუძველზე, ტექნიკური დავალების მოთხოვნათა დაცვით უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტების მიღება:

- 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა (სდგ);
- 2) ქ. ბათუმის გენერალური გეგმა (გენგეგმა);
- 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა (დსს).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების პირველი ეტაპის განხორციელება		1	500 000	500 000
სულ ქვეპროგრამა				500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების პირველი ეტაპის განხორციელება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი ეტაპების შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება.

დამატებითი ინფორმაცია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება მრავალწლიანი პროექტია რომელიც მოიცავს 2020-2021 წლებს და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 2500 000 ლარი (ორი მილიონ ხუთასიათასი)

პროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი ეტაპების შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება.</p>	<p>1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა (სდგ); 2) ქ. ბათუმის გენერალური გეგმა (გენგეგმა); 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა (დსს)</p>	<p>1</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური</p>	<p>წერილადში ორჯერ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქალაქის დაგეგმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	10 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდამავალი ღონისძიებების დაფინანსება - ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა			10 000
სულ ქვეპროგრამა			10 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

მომზადებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

დამატებითი ინფორმაცია